ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №11

ქ. თბილისი 29 იანვარი, 2016 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მირიან ხოსიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „უნისერვისი" (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის იური ბერიაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ეროვნული ბიბლიოთეკისათვის სასმელების, თამბაქოს და მონათესავე პროდუქტების (CPV-15900000) მიწოდება დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ფორმით.

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **3900 (სამი ათას ცხრაასი) ლარს.**

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. პროდუქციის გადაცემა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადების და ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მიწოდება უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმებში მითითებულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მიწოდების წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის შემოწმებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილება.

5.5.სასაქონლო ზედნადებზე და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურაზე ხელმოწერის უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილების უფროსს–გიული პაქსაშვილს.

6.მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– მიაწოდოს აღნიშნული პროდუქცია ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016 წლის 4 თებერვლის ჩათვლით.**

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 5 მარტის ჩათვლით.**

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

9.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს– მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

13 . მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ქ. თბილისი ლადო გუდიაშვილის ქ. №7 ტელ: 2971661 ს/კ: 203845018 სახელმწიფო ხაზინა ანგ. №200122900	შპს"უნისერვისი" ქ. თბილისი, წყნეთის ქ.№6 ბ.6ა ს/კ: 404974783 ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. №GE33TB7354736080100001
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მირიან ხოსიტაშვილი	დირექტორი იური ბერიაშვილი

ინვოისი

ქ. თბილისი 28:10;2016 წ

შ.პ.ს "უნისერვისი", წყნეთის ქ.№6 ბ.ნა :ს/კ. -404974783 : "თიბისი ბანკი": ბ/კ- TBCBGE22: ა/ანGE33TB7354736080100001: დირექტორი იური ბერიაშვილი

№	საქონელი	რაოდენობა	საცალო ფასი	ჯამი
1	ფილტრის ქაღალდი	600მ	6.50	3900.00
2				
3				

სულ.3900 ლარი,

სამიათას ცხრაასი ლარი

დირექტორი: იური ბერიაშვილი